შპს ჯეი თი აი კავკასუსი

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5

სრული შემოსავლის ანგარიშგება 6

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 7

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 9
2. მომზადების საფუძვლები 9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 11
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 12
5. ძირითადი საშუალებები 16
6. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები 16
7. მარაგები 17
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 17
9. ფული და ფულის ეკვივალენტები 18
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 18
11. სახელშეკრულებო ვალდებულება 18
12. საგადასახადო ვალდებულება 18
13. ანარიცხები 19
14. ამონაგები 19
15. საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის თვითღირებულება 19
16. კომერციული ხარჯები 19
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 20
18. სხვა ხარჯები, წმინდა 20
19. მოგების გადასახადის ხარჯი 20
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 21
21. პირობითი ვალდებულებები 22
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 22
23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჯეი თი აი კავკასუსის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ **შპს ჯეი თი აი კავკასუსის** (შემდგომში - კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის სამართლიანად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

1 სექტემბერი, 2021

შპს ჯეი თი აი კავკასუსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	2,897,875	2,499,095
აქტივების გამოყენების უფლება	6	3,233,742	414,559
არამატერიალური აქტივები		254,627	335,629
		6,386,244	**3,249,283**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	5,501,939	8,573,194
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	24,643,072	43,190,736
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	25,238,616	11,763,767
		55,383,627	**63,527,697**
სულ აქტივები		**61,769,871**	**66,776,980**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,482,430	3,482,430
გაუნაწილებელი მოგება		35,012,333	31,481,568
სულ კაპიტალი		**38,494,763**	**34,963,998**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	6	1,701,281	93,183
		1,701,281	**93,183**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	15,552,713	15,878,828
სახელშეკრულებო ვალდებულება	11	-	10,926,646
საიჯარო ვალდებულებები	6	1,967,576	507,825
საგადასახადო ვალდებულება	12	244,567	670,524
ანარიცხები	13	3,808,971	3,735,976
		21,573,827	**31,719,799**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**61,769,871**	**66,776,980**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 1 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

მინდობილი პირი _____ გიორგი ჯინჭარაძე

9-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	2020	2019*
ამონაგები	14	190,827,079	190,020,441
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის თვითღირებულება	15	(109,664,189)	(106,514,183)
საერთო მოგება		**81,162,890**	**83,506,258**
კომერციული ხარჯები	16	(16,473,718)	(17,246,430)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(27,251,384)	(31,347,216)
სხვა ხარჯები, წმინდა	18	(2,452,203)	(637,835)
საოპერაციო მოგება		**34,985,585**	**34,274,777**
წმინდა ფინანსური შემოსავალი		354,060	753,305
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან		6,282,107	4,450,333
მოგება დაბეგვრამდე		**41,621,752**	**39,478,415**
მოგების გადასახადის ხარჯი	19	(6,358,030)	(6,115,804)
მთლიანი სრული მოგება		**35,263,722**	**33,362,611**

(*) - დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-14 განმარტებით შენიშვნაში.

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**3,482,430**	**27,500,199**	**30,982,629**
დივიდენდები	-	(29,381,242)	**(29,381,242)**
წლის მთლიანი სრული მოგება	-	33,362,611	**33,362,611**
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**3,482,430**	**31,481,568**	**34,963,998**
დივიდენდები	-	(31,732,957)	**(31,732,957)**
წლის მთლიანი სრული მოგება	-	35,263,722	**35,263,722**
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**3,482,430**	**35,012,333**	**38,494,763**

შპს ჯეი თი აი კავკასუსი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		**41,621,752**	**39,478,415**
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	17	3,283,651	1,963,942
წმინდა მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		-	(78,431)
წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებისა და არამატერიალური აქტივების ჩამოწერიდან		58,070	189,155
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან		(6,282,107)	(4,450,333)
წმინდა ფინანსური შემოსავალი		(354,060)	(753,305)
შეფასების ცვლილების ეფექტი წლის განმავლობაში		(391,083)	-
წმინდა ცვლილება ანარიცხებში	17	1,043,565	2,928,297
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		**38,979,788**	**39,277,740**
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში:			
მარაგები		3,071,255	(7,968,104)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		14,980,106	15,100,423
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(4,182,921)	(16,096,375)
საგადასახადო ვალდებულება		1,946,564	(1,185,232)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**54,794,792**	**29,128,452**
გადახდილი მოგების გადასახადი		(8,730,551)	(5,790,272)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**46,064,241**	**23,338,180**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	5	(1,602,748)	(542,685)
ფულადი ნაკადები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		-	78,431
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(92,747)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		536,119	776,542
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება/(გადინება) საინვესტიციო საქმიანობიდან		**(1,066,629)**	**219,541**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
გაცემული დივიდენდები		(31,732,957)	(29,381,242)
საიჯარო ვალდებულებები		(2,251,548)	(582,694)
წმინდა ფულადი ნაკადების გადინება ფინანსური საქმიანობიდან		**(33,984,505)**	**(29,963,936)**
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		**11,013,107**	**(6,406,215)**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**11,763,767**	**15,805,218**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		2,461,742	2,364,764
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		**25,238,616**	**11,763,767**

9-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯეი თი აი კავკასუსი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში - კომპანია), რომელიც დაარსდა 2011 წლის 13 აპრილს. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისში, საგადასახადო დეპარტამენტის ოფისში საიდენტიფიკაციო ნომრით - 404906731.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ნიდერლანდებში რეგისტრირებული საწარმო „JT International Holding B.V“, რომელიც საბოლოოდ კონტროლდება იაპონური დედა კომპანიის „Japan Tobacco Inc“-ის მიერ. შპს ჯეი თი აი კავკასუსი საქმიანობს საქართველოსა და აზერბაიჯანის ბაზრებზე.

კომპანია აზერბაიჯანში ადგილობრივ დისტრიბუტორს აწვდის სიგარეტს, თამბაქოსა და სხვა დაკავშირებულ მასალებს. აზერბაიჯანში გაყიდვების ზრდისთვის კომპანიის წარმომადგენლობითი ოფისი („აზ წ.ო“) ახორციელებს პროდუქციის მხარდასაჭერად საჭირო მარკეტინგულ აქტივობებს. კომპანია აზერბაიჯანში ადგილობრივ დისტრიბუტორს აწვდის თამბაქოს შემდეგ ბრენდებს: ელდი, ვინსტონი, სობრანიე, ქემელი, მორი, ვინჩესტერი.

საქართველოს ბაზარზე კომპანია ოპერირებს როგორც ჯეი თი ჯგუფის პროდუქტების ადგილობრივი დისტრიბუტორისთვის მარკეტინგული მომსახურების მიმწოდებელი. გაწეული მარკეტინგული მომსახურება მოიცავს შემდეგს: მარკეტინგული დაგეგმვა, სათანადო დისტრიბუციის უზრუნველყოფა, პროდუქციის ჩამონათვალისა და ხილვადობის უზრუნველყოფა საცალო ვაჭრობისა და ჰორეკას ობიექტებში, სარეკლამო და წამახალისებელი აქციების ორგანიზება და ზედამხედველობა, ასევე სარეკლამო მასალების გავრცელება და სხვა.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის ჭავჭავაძის ქუჩა #34.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული საღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კოვიდ-19 პანდემიის გავლენა ფინანსურ მდგომარეობაზე 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და მის საქმიანობაზე მომავალში.

პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებს, რეგულაციებსა და რეაგირებებს განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებზე პანდემიით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებას არ აქვს გავლენა კომპანიის საქმიანობის უწყვეტობაზე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოსა და აზერბაიჯანში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის ფუნქციონირებას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ახალი სტანდარტების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2020 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

მიღებულია რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელთაგან არცერთს არ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის წლისათვის:

- ბიზნესის განსაზღვრა (ცვლილებები ფასს 3 -ში);
- საპროცენტო განაკვეთის ნიშნული რეფორმა - IBOR „ეტაპი 2“(ცვლილებები ფასს 9 -ში, ბასს 39 -ში და ფასს 7 -ში); და
- COVID-19– თან დაკავშირებული ქირავნობის დათმობები (ცვლილებები ფასს 16 – ში);
- ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - გამჟღავნების ინიციატივა - მასალის განსაზღვრა); და
- ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური ჩარჩოს გადასინჯვები.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

არსებობს მთელი რიგი სტანდარტები, ცვლილებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემულია IASB– ის მიერ, რომლებიც ეფექტურია მომავალ საბუღალტრო პერიოდებში, რომლებიც კომპანიამ გადაწყვიტა ადრე არ მიეღო.

შემდეგი ცვლილებები ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდისთვის:

- მძიმე კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ღირებულება (ცვლილებები ბასს 37 -ში);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ცვლილებები ბასს 16 -ში);
- ყოველწლიური გაუმჯობესება ფასს სტანდარტებში 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში); და
- მითითებები კონცეპტუალურ ჩარჩოზე (ცვლილებები ფასს 3 -ში).

2020 წლის იანვარში, ბასსკ-მ გამოაქვეყნა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც განმარტავს კრიტერიუმებს, რომლებიც გამოიყენება იმის დასადგენად, კლასიფიცირდება თუ არა ვალდებულებები მიმდინარე თუ არა მიმდინარე. ეს ცვლილებები განმარტავს, რომ მიმდინარე თუ არა მიმდინარე კლასიფიკაცია ემყარება იმას, აქვს თუ არა საწარმოს უფლება საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გადადოს ვალდებულების დაფარვა საანგარიშო პერიოდიდან სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში. ცვლილებები ასევე განმარტავს, რომ „ანგარიშსწორება“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან კაპიტალური ინსტრუმენტების გადაცემას, თუ კაპიტალური ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიქმნება კონვერტაციის მახასიათებლის მიხედვით, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც წილობრივი ინსტრუმენტი რთული ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით. შესწორებები თავდაპირველად მოქმედებდა წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. თუმცა, 2020 წლის მაისში ძალაში შესვლის თარიღი გადაიდო 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.

კომპანია ამჟამად აფასებს ამ ახალი აღრიცხვის სტანდარტებისა და ცვლილებების გავლენას. კომპანიას არ მიაჩნია, რომ ბასს 1 -ის ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მისი ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

სხვა

კომპანია არ ვარაუდობს, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ ძალაში არ არის შესული, ექნება არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები

კომპანია იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

კომპანია იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.
საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24,103,472	42,567,556
ფული და ფულის ეკვივალენტები	25,238,616	11,763,767
	49,342,088	**54,331,323**

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. კომპანიის მიერ კლიენტებისთვის შეთავაზებულ საკრედიტო პირობებში მითითებული გადახდის ვადა არასდროს აჭარბებს 80 დღეს. ასევე, სავაჭრო მოთხოვნები დაზღვეულია საბანკო გარანტიით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას. კომპანიის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნია მფლობელებს.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანიის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნია მფლობელებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	ერთ წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24,103,472	-	-	**24,103,472**
ფული და ფულის ეკვივალენტები	25,238,616	-	-	**25,238,616**
	49,342,088	**-**	**-**	**49,342,088**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,552,713	-	-	**15,552,713**
საიჯარო ვალდებულებები	432,718	1,297,371	1,729,194	**3,459,283**
	15,985,431	**1,297,371**	**1,729,194**	**19,011,996**
ლიკვიდურობის სხვაობა	**33,356,657**	**(1,297,371)**	**(1,729,194)**	**30,330,092**
ლიკვიდურობის აკუმულირებული სხვაობა	**33,356,657**	**32,059,286**	**30,330,092**	

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	ერთ წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	42,567,556	-	-	**42,567,556**
ფული და ფულის ეკვივალენტები	11,763,767	-	-	**11,763,767**
	54,331,323	**-**	**-**	**54,331,323**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,878,828	-	-	**15,878,828**
საიჯარო ვალდებულებები	126,956	380,869	93,183	**601,008**
	16,005,784	**380,869**	**93,183**	**16,479,836**
ლიკვიდურობის სხვაობა	**38,325,539**	**(380,869)**	**(93,183)**	**37,851,487**
ლიკვიდურობის აკუმულირებული სხვაობა	**38,325,539**	**37,944,670**	**37,851,487**	

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვან ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი.

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	აზერბაიჯანული მანათი
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,687,552	22,415,920	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	295,452	24,941,887	1,143	134
	1,983,004	**47,357,807**	**1,143**	**134**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,837,452	10,439,996	342,122	1,933,143
საიჯარო ვალდებულებები	43,769	2,838,084		787,004
	2,881,221	**13,278,080**	**342,122**	**2,720,147**
ღია საბალანსო პოზიცია	**(898,217)**	**34,079,727**	**(340,979)**	**(2,720,013)**

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	აზერბაიჯანული მანათი
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,355,239	40,212,317	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	119,717	11,626,785	5,016	12,249
	2,474,956	**51,839,102**	**5,016**	**12,249**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,223,079	8,325,853	128,236	2,201,660
საიჯარო ვალდებულებები	145,417	360,455	-	95,136
	5,368,496	**8,686,308**	**128,236**	**2,296,796**
ღია საბალანსო პოზიცია	**(2,893,540)**	**43,152,794**	**(123,220)**	**(2,284,547)**

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებს და აკორექტირებს მათ წლის ბოლოს უცხოური ვალუტის კურსის 20% -იანი ცვლილების პირობებში.

ფინანსური ინსტრუმენტების გავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალზე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

	აშშ დოლარი	ევრო	აზერბაიჯანული მანათი
20% ზრდა	6,815,945	(68,196)	(544,003)
20% შემცირება	(6,815,945)	68,196	544,003

ფინანსური ინსტრუმენტების გავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალზე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

	აშშ დოლარი	ევრო	აზერბაიჯანული მანათი
20% ზრდა	8,630,559	(24,644)	(456,909)
20% შემცირება	(8,630,559)	24,644	456,909

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საბაზრო გაცვლითი კურსის გონივრული ზრდა ან შემცირება არ გამოავლენს კომპანიის სრული შემოსავლის ან კაპიტალის ანგარიშგების მნიშვნელოვან პოტენციურ ეფექტს 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება დამფუძნებლებისთვის.

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, კომპანიამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	ავტომობილები	კომპიუტერები და სხვა ტექნიკა	ავეჯი	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2018	**5,342,202**	**1,784,245**	**689,406**	**222,131**	**8,037,984**
შემოსვლა	99,660	381,204	2,579	59,242	**542,685**
ჩამოწერა	(33,371)	(433,879)	(4,633)	(62,954)	**(534,837)**
გასვლა	(135,048)	-	-	-	**(135,048)**
31 დეკემბერი 2019	**5,273,443**	**1,731,570**	**687,352**	**218,419**	**7,910,784**
შემოსვლა	1,262,898	335,709	4,141	-	**1,602,748**
ჩამოწერა	-	(39,419)	(112,254)	(8,018)	**(159,691)**
31 დეკემბერი 2020	**6,536,341**	**2,027,860**	**579,239**	**210,401**	**9,353,841**
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2018	**(2,927,457)**	**(1,222,768)**	**(366,706)**	**(82,194)**	**(4,599,125)**
ცვეთა წლის განმავლობაში	(860,443)	(367,881)	(63,567)	(36,067)	**(1,327,958)**
ჩამოწერილი აქტივების დაგროვილი ცვეთა	30,279	345,459	2,780	1,828	**380,346**
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	135,048	-	-	-	**135,048**
31 დეკემბერი 2019	**(3,622,573)**	**(1,245,190)**	**(427,493)**	**(116,433)**	**(5,411,689)**
ცვეთა წლის განმავლობაში	(687,568)	(384,117)	(68,855)	(5,358)	**(1,145,898)**
ჩამოწერილი აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	5,795	95,826	-	**101,621**
31 დეკემბერი 2020	**(4,310,141)**	**(1,623,512)**	**(400,522)**	**(121,791)**	**(6,455,966)**
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2019	**1,650,870**	**486,380**	**259,859**	**101,986**	**2,499,095**
31 დეკემბერი 2020	**2,226,200**	**404,348**	**178,717**	**88,610**	**2,897,875**

6. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას იჯარით აღებული აქვს ადმინისტრაციული ოფისები და საწყობები. საიჯარო გადახდები ხდება აშშ დოლარსა და აზერბაიჯანულ მანათში. იჯარის პირობები და ზღვრული საპროცენტო განაკვეთები მოცემულია შემდეგნაირად:

იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია:	არაგაუქმებადი პერიოდი	გაგრძელების არჩევანის უფლების გამოყენება	იჯარის ვადა	დისკონტის განაკვეთი
საქართველო	-	24 თვე	36 თვე	3.54%
აზერბაიჯანი	-	24 თვე	36 თვე	4.87%

აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	**414,559**	**247,102**
ახალი საიჯარო კონტრაქტები*	4,875,934	700,613
შეფასების ცვლილების ეფექტი წლის განმავლობაში	-	34,028
ამორტიზაცია	(2,056,751)	(567,184)
ნაშთი წლის ბოლოს	**3,233,742**	**414,559**

6. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	**601,008**	**247,102**
ახალი საიჯარო კონტრაქტები*	4,875,934	700,613
შეფასების ცვლილების ეფექტი წლის განმავლობაში	(391,083)	34,028
საპროცენტო ხარჯი	182,059	23,237
საიჯარო გადასახადი	(2,251,548)	(582,694)
უცხოური ვალუტის გადაფასების ეფექტი	652,487	178,722
ნაშთი წლის ბოლოს	**3,668,857**	**601,008**

*ახალი კონტრაქტები 4,386,420 ლარის ოდენობით მოიცავს აქტივის გამოყენების უფლებას, რომელიც აღიარებულია საქართველოსა და აზერბაიჯანში მდებარე მთავარი ოფისებისთვის. წინა პერიოდში სათაო ოფისები აღირიცხებოდა როგორც მოკლევადიანი იჯარა. 2019 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობა გეგმავდა უკეთესი პირობების გათვალისწინებით ოფისების ცვლილებას. თუმცა, კოვიდ-19 პანდემიის გამო ხელმძღვანელობამ შეაფასა მოლოდინები და ახალი რეალობის გათვალისწინებით ოფისის ცვლილების შესაძლო უარყოფითი ფაქტორები და აღიარა იჯარა ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიას არ აქვს მიღებული სესხები მიმდინარე ან შესადარებელ პერიოდში მსგავსი ვალუტით, ვადით და პირობებით. ზღვრული საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა შესადარისი სექტორის ბაზრის დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე.

7. მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
შესაფუთი მასალები და სხვა დაკავშირებული პროდუქცია	3,754,848	6,921,617
თამბაქო	1,747,091	957,039
სიგარეტები	-	694,538
	5,501,939	**8,573,194**

მზარდი მოთხოვნის გამო, 2019 წლიდან კომპანიამ დაიწყო თამბაქოსა და სხვა დაკავშირებული მასალების რეალიზაცია. აღნიშნული პროდუქციის უწყვეტი მიწოდებისთვის, კომპანიამ დაიქირავა ახალი სასაწყობე ფართი.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	22,415,919	40,212,317
მოთხოვნები გაწეული მარკეტინგული მომსახურებებიდან	1,687,553	2,355,239
	24,103,472	**42,567,556**
არაფინანსური აქტივები		
ავანსები	539,600	623,180
	24,643,072	**43,190,736**

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეფასებისთვის კომპანია იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას ფასს 9-ის მიხედვით. კოლექტიურად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეფასებისთვის, სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მიხედვით.

კომპანიის მიერ კლიენტებისთვის შეთავაზებულ საკრედიტო პირობებში მითითებული გადახდის ვადა არასდროს აჭარბებს 80 დღეს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	24,943,164	11,644,050
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	295,452	119,717
	25,238,616	**11,763,767**

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური ვალდებულებები:		
მომწოდებლებთან	6,302,548	3,435,135
კონტრაგენტებთან გარდა მომწოდებლებისა*	6,069,116	9,036,628
თანამშრომლებთან	2,275,884	2,692,270
დაკავშირებულ მხარეებთან გარდა მომწოდებლებისა	905,165	714,795
	15,552,713	**15,878,828**

*ვალდებულებები კონტრაგენტებთან გარდა მომწოდებლებისა წარმოქმნილია მარკეტინგულ აქტივობებთან დაკავშირებული საქონლისა და პროფესიული სერვისების შესყიდვით.

11. სახელშეკრულებო ვალდებულება

გარკვეული მიზეზების გამო, კომპანიისთვის წინასწარ იყო ცნობილი, რომ მომდევნო საანგარიშგებო წლის დასაწყისში ვერ მოახერხებდა კლიენტისთვის ტვირთის მიწოდებას. შესაბამისად, კლიენტისთვის შეფერხების თავიდან ასარიდებლად, კომპანიამ 2019 წლის 30 დეკემბერს გააფორმა შეთანხმება, რომ 2020 წლის პირველ იანვრამდე ტვირთს შეინახავდა კლიენტის საწყობში საკუთარი კონტროლის ქვეშ. 2019 წლის 31 დეკემბერს კომპანიამ აღიარა სახელშეკრულებო ვალდებულება, როგორც ტვირთის მიწოდებასთან დაკავშირებული შესასრულებელი ვალდებულება. კომპანიამ ასევე, აღიარა სავაჭრო მოთხოვნა, რადგან ანაზღაურებაზე უპირობო უფლება გააჩნდა და მხოლოდ გარკვეული დროის გასვლა იყო საჭირო ანაზღაურების მიღების ვადის დადგომამდე.

12. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების თანახმად, გადასახადების გადახდა ხდება გაერთიანებულ სახაზინო ანგარიშზე. შედეგად, კომპანიის საგადასახადო აქტივი და ვალდებულება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია წმინდა საფუძველზე.

კომპანიას ამჟამად აქვს სასამართლო დავა საგადასახადო ორგანოებთან 2015-2017 წლების საგადასახადო შემოწმების შედეგებთან დაკავშირებით. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული სამართლებრივი დავის მთლიანი ანარიცხი შეადგენს 3,316,431 ლარს, რომელიც წარმდგენილია საგადასახადო ვალდებულების მუხლში. ანარიცხის მნიშვნელოვანი ნაწილი 1,398,868 ლარის ოდენობით აღიარებული იყო წინა პერიოდებში. მიმდინარე ფინანსურ შედეგებზე წმინდა ეფექტი არის 1,917,563 ლარი (ეს თანხა მოიცავს ჯარიმებსა და საურავს 1,496,622 ლარის ოდენობით). ანარიცხებში წარმოდგენილი თანხა წარმოადგენს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასებას კომპანიის მოსალდნელი ვალდებულების შესახებ იურისტებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. განუსაზღვრელობა დაკავშირებულია იმასთან მოახერხებს თუ არა კომპანია წარმატებით დაიცვას თავისი პოზიცია.

კომპანია მიმოიხილავს მიმდინარე სასამართლო დავებს და მათ განვითარებას ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იმისთვის, რომ შეაფასოს ანარიცხისა და განმარტებების აუცილებლობა ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს გამოყენებებული ფაქტორები მოიცავს: სასამართლო დავის ხასიათს, პრეტენზიებსა და შეფასებებს, სასამართლო პროცესებსა და ზიანის პოტენციურ დონეს იმ იურისდიქციაში, სადაც მიმდინარეობს დავა, სასამართლო დავის განვითარებას (მათ შორის განვითარება ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე), იურიდიულ საკითხებში მრჩეველთა მოსაზრებებსა და შეხედულებებს, გამოცდილებას მსგავს სასამართლო დავებზე და კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას თუ როგორ წარმართავს თავის პოზიციას სასამართლო დავებში.

13. ანარიცხები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, შესაძლოა სხვადასხვაგვარად იქნას ინტერპრეტირებული საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

წარსული გამოცდილებიდან და კანონის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციის გამო, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას მოუწევს საგადასახადო კოდექსით მოთხოვნილი გადასახადების გადახდა. შესაბამისად, კომპანიამ დაიანგარიშა გადასახადის შესაძლო ეფექტი და ფინანსურ ანგარიშგებაში შექმნა საგადასახადო ანარიცხი. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება. ხელმძღვანელობის შეფასებით მომავალში მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსის კომპანიიდან გასვლა.

14. ამონაგები

	2020	2019*
ამონაგები:		
თამბაქოსა და სხვა დაკავშირებული მასალების რეალიაციიდან	106,404,406	66,543,283
სიგარეტის რეალიზაციიდან	61,479,356	94,538,069
მარკეტინგული მომსახურების გაწევიდან**	22,943,317	28,939,089
	190,827,079	**190,020,441**

* 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მიმდინარე და წინა პერიოდის მონაცემების შესადარისად წარსადგენად საჭიროებისამებრ მოხდა წინა პერიოდის მონაცემების რეკლასიფიკაცია. რეკლასიფიკაციის საერთო თანხა შეადგენს 4,871,828 ლარს, რომელიც წარდგენილი იყო კომერციული ხარჯებში.

** კომპანია უზრუნველყოფს მარკეტინგული მომსახურების სრულ სპექტრს JTI ბრენდების ადგილობრივ დისტრიბუტორს - შპს ელიზ ჯგუფს გაყიდვების მხარდასაჭერად. მარკეტინგული მომსახურების ზოგადი ჩამონათვალი მოიცავს: მარკეტინგული დაგეგმვა, სათანადო დისტრიბუციის უზრუნველყოფა, პროდუქციის ჩამონათვალისა და ხილვადობის უზრუნველყოფა საცალო ვაჭრობისა და ჰორეკას ობიექტებში, სარეკლამო და წამახალისებელი აქციების ორგანიზება და ზედამხედველობა, ასევე სარეკლამო მასალების გავრცელება და სხვა.

15. საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის თვითღირებულება

	2020	2019
თვითღირებულება:		
თამბაქოსა და სხვა დაკავშირებული მასალები	(58,852,827)	(35,732,809)
სიგარეტები	(37,128,088)	(50,261,431)
მარკეტინგული მომსახურება	(12,049,881)	(12,886,398)
ტრანსპორტირება	(1,633,393)	(7,633,545)
	(109,664,189)	**(106,514,183)**

16. კომერციული ხარჯები

	2020	2019*
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(7,491,656)	(7,270,876)
რეკლამირება და დაკავშირებული წამახალისებელი საჩუქრები	(2,060,394)	(4,051,873)
ბაზრის კვლევა	(2,255,536)	(2,297,775)
მარკეტინგული მარაგებისა და მასალების ხარჯი	(4,086,361)	(2,797,123)
პროდუქტის დიზაინი	(398,343)	(771,626)
სხვა	(181,428)	(57,157)
	(16,473,718)	**(17,246,430)**

* დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-14 განმარტებით შენიშვნაში.

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(14,600,811)	(15,370,104)
ცვეთა და ამორტიზაცია*	(3,283,651)	(1,963,942)
ინფორმაციული ტექნოლოგიები და პროგრამული მხარდაჭერა	(1,577,324)	(1,189,145)
გადასახადები გარდა მიმდინარე მოგების გადასახადისა	(1,535,930)	(374,534)
ანარიცხები	(1,043,565)	(2,928,297)
შეკეთება და შენახვა	(1,037,470)	(851,770)
საბანკო გარანტიები	(864,950)	(912,549)
იჯარა და კომუნალური ხარჯები*	(664,131)	(2,130,474)
საწვავი	(481,131)	(333,191)
კომუნიკაცია	(400,733)	(435,798)
პროფესიული მომსახურება**	(343,768)	(563,391)
სამივლინებო ხარჯები	(342,867)	(2,136,988)
საოფისე აღჭურვილობები	(166,359)	(282,640)
თანამშრომელთა ტრენინგები	(150,370)	(300,023)
საბანკო ხარჯები	(147,336)	(152,971)
სხვა	(610,988)	(1,421,399)
	(27,251,384)	**(31,347,216)**

* ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები გაიზარდა (და იჯარის ხარჯები შემცირდა) ახალი საიჯარო ხელშეკრულების შედეგად აქტივების გამოყენების უფლების აღიარებით. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-6 განმარტებით შენიშვნაში.

** 2020 და 2019 წლებისთვის პროფესიული მომსახურება შესაბამისად მოიცავს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარჯებს 60,000 ლარის ოდენობით (დღგ-ის გარეშე).

18. სხვა ხარჯები, წმინდა

	2020	2019
განადგურებული საქონლისგან მიღებული ზარალი *	(1,488,919)	-
ქველმოქმედება	(805,890)	(594,809)
სხვა	(157,394)	(43,026)
	(2,452,203)	**(637,835)**

* 2020 წელს კომპანიამ შეისყიდა ვინსტონის პროდუქტი აზერბაიჯანის შემსყიდველისთვის. ბაზარზე მოთხოვნის შემცირების შედეგად, მყიდველმა უარი თქვა დამატებითი საქონლის შესყიდვაზე. შედეგად, წარმოებული საქონელი მოძველდა და განადგურდა 2020 წელს 1,488,919 ლარის ოდენობით.

19. მოგების გადასახადის ხარჯი

	2020	2019
მოგების გადასახადის ხარჯი წარმოქმნილია:		
დივიდენდების გადახდით	(5,599,941)	(5,184,970)
სხვა დასაბეგრი ოპერაციებით	(758,089)	(930,834)
	(6,358,030)	**(6,115,804)**

საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაბეგვრის ობიექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია მოცემულია 23-ე განმარტებით შენიშვნაში.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

a) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

b) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

c) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

d) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშნველოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების არე	დამფუძნებელი	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	უმაღლესი ხელმძღვანელობა
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	405,796	6,804,075	-
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის თვითღირებულება*	1,052,421	-	-
კომერციული ხარჯები		(528,565)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,063,927)	(2,806,142)	(3,659,781)

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების არე	დამფუძნებელი	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	უმაღლესი ხელმძღვანელობა
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	103,696	4,046,234	-
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის თვითღირებულება*	(1,450,256)	-	-
კომერციული ხარჯები	-	(1,606,087)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(956,150)	(4,865,080)	(2,936,438)

* 2020 და 2019 წლების განმავლობაში საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოსგან შეძენილმა მარაგებმა შესაბამისად შეადგენდა 92,909,662 ლარი და 100,800,152 ლარი.

21. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები - 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა აქტიური სამართლებრივი დავა 2015-2017 წლების საგადასახადო შემოწმების მიხედვით. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-12 განმარტებით შენიშვნაში.

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, დაგროვილი მოგების განაწილება ექვემდებარება დაბეგვრას. 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება შეადგენს შესაბამისად 6,178,647 ლარს და 5,555,571 ლარს.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

დივიდენდები

2021 წლის 13 მაისს კომპანიის პარტნიორთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება 16,563,000 ლარის (5,000,000 აშშ დოლარი) ოდენობის დივიდენდის გამოცხადებაზე. აღნიშული თანხა სრულად გაიცა 2021 წლის 25 მაისს.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება სამ კატეგორიად: ის, რაც შემდგომში უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ის, რაც შემდგომ უნდა შეფასდეს სხვა სრული შემოსავლის სამართლიანი ღირებულებით (FVOCI) და ის, რაც შემდგომ უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის მიხედვით (FVPL). კომპანიის მენეჯმენტმა შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელები ვრცელდება კომპანიის ფინანსურ აქტივებზე და ყველა ფინანსური აქტივი კლასიფიცირებულია „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების“ კატეგორიაში.

ამორტიზებული ღირებულება

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე და არა მიმდინარე სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვები აღიარებულია ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რეზერვის მატრიცის გამოყენებით ვადის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას. ამ პროცესის განმავლობაში ფასდება სავაჭრო დებიტორული დავალიანების გადაუხდელობის ალბათობა. ეს ალბათობა შემდეგ მრავლდება მოსალოდნელი ზარალის ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ნაგულისხმევი ვადით, რათა განისაზღვროს სავაჭრო დებიტორული დავალიანების ვადის ხანგრძლივობის სავარაუდო საკრედიტო ზარალი. სავაჭრო დებიტორული დავალიანებისათვის, რომლებიც აღირიცხება ნეტო მეთოდით, ასეთი რეზერვები აღირიცხება ცალკეული სარეზერვო ანგარიშში, ზარალი აღიარებულია გაყიდვების ღირებულების ფარგლებში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. დადასტურების შემდეგ, რომ დებიტორული დავალიანება არ იქნება შეგროვებული, აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება იწერება ასოცირებული დებულების წინააღმდეგ.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაკავშირებული მხარეებთან დებიტორული დავალიანება და დაკავშირებული მხარეებთან სესხების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია მომავლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის საფუძველზე. რეზერვის ოდენობის დასადგენად გამოყენებული მეთოდოლოგია ემყარება იმას, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების დღიდან. მათთვის, სადაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღიარებულია თორმეტი თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალი მთლიანი საპროცენტო შემოსავლით. მათთვის, ვისთვისაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, აღიარებულია სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით ერთობლივ საპროცენტო შემოსავალთან ერთად. მათთვის, ვინც განისაზღვრა, რომ გაუფასურებულია საკრედიტო, აღიარებულია სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საპროცენტო შემოსავლებთან ერთად წმინდა საფუძველზე.

დროდადრო, კომპანია ირჩევს ხელახლა მოლაპარაკებას კლიენტებთან დაკავშირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების პირობებთან, რომლებთანაც მას ადრე ჰქონდა კარგი სავაჭრო ისტორია. ამგვარი ხელახალი მოლაპარაკებები გამოიწვევს გადახდების დროის შეცვლას და არა ცვლილებებს დავალიანების შედეგად და, შესაბამისად, ახალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები დისკონტირდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვაობა აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (საოპერაციო მოგება).

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულადი სახსრების ექვივალენტებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით. პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოხსენებული თანხები ურთიერთჩაითვალოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

- იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
- პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
- ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის ყველა სახის სხვა დანახარჯით, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილის გამოცვლის დროს გაწეული ხარჯი კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს ძირითადი საშუალების გაუფასურების ინდიკატორებს. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, მენეჯმენტი აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება შემცირებულია მის ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ხარჯი კვლავ შემოსავლად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს შეფასების ცვლილებას, რომლითაც თავდაპირველად განისაზღვრა აქტივის გამოყენების ღირებულება, ან იცვლება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალური ღირებულება.

გაყიდვისგან მიღებული სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება გაყიდვის დროს მიღებული შემოსავლისა და აქტივის ჩამოწერილი საბალანსო ღირებულების ურთიერთშედარების შედეგად.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ავტომობილები	4-5
კომპიუტერები და სხვა ტექნიკა	3-10
ავეჯი	5-10
სხვა	2-4

არამატერიალური აქტივები

კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და შეიცავს დაკაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების ხარჯებს. კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების შესყიდვისას კაპიტალიზდება შესყიდვისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანისთვის გაწეული ხარჯები. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა შენახვის ხარჯები აღიარდება ხარჯად მისი გაწევისთანავე. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივად 3-10 საანგარიშგებო წელზე. თუ არამატერიალური აქტივი გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება და ხდება უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები აქტივებია, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრაქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

მოგების გადასახადის გარდა გადასახადები აღიარდება მაშინ როცა ადგილი აქვს დასაბეგრ მოვლენას. დასაბეგრი მოვლენა არის მოვლენა რომელიც წარმოშობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები დაიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. ისინი აღიარებულია ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ.

კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა.

შესრულების ვალდებულებები და შემოსავლების აღიარების დრო

შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული. ეს ხდება მაშინ, როდესაც საქონელი და მომსახურება მიეწოდება მომხმარებელს. შეზღუდული გადაწყვეტილებაა საჭირო პუნქტების კონტროლის გადაცდენის იდენტიფიცირებისას: მას შემდეგ, რაც მოხდა პროდუქციის ფიზიკური მიწოდება შეთანხმებულ ადგილას, კომპანიას აღარ ექნება ფიზიკური მფლობელობა, ჩვეულებრივ ექნება გადახდის უფლება და არ ინარჩუნებს მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს. საქონლის შესახებ.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

თითოეული გაყიდული პროდუქტისთვის არის ფიქსირებული ერთეულის ფასი, ხოლო შემცირება მოცემულია საბითუმო შეკვეთებისთვის. ამრიგად, არ არსებობს გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს კონტრაქტის ფასის გამოყოფას თითოეულ ერთეულზე შეკვეთილ ასეთ კონტრაქტებში (ეს არის მთლიანი ხელშეკრულების ფასი გაყოფილი შეკვეთილი ერთეულების რაოდენობაზე). როდესაც მომხმარებელი ახდენს ერთზე მეტი სახეობის საქონლის შესყიდვას, კომპანიას შეუძლია მარტივად მოახდინოს სარეალიზაციო ფასების მკვეთრი გამოჯვნა კონტრაქტის ფარგლებში პროდუქციის ცალკე აღებული სარეალიზაციო ფასების მიხედვით. (ყველა პროდუქტის ხაზს შეუძლია გაიყიდოს და იყიდება ცალკე).

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარები

კომპანია როგორც მოიჯარე

იჯარის იდენტიფიკაცია

იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანიამ უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა აღიარებულია კომპანიის ბალანსზე შემდეგნაირად:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს უფლებას გამოიყენოს ძირითადი აქტივი იჯარის ვადის განმავლობაში;
- ვალდებულება იჯარის გადახდის ვალდებულებისათვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

პირველადი აღიარებისას, იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულება ასევე მოიცავს:

- თანხები მოსალოდნელი უნდა იყოს გადასახდელი ნებისმიერი ნარჩენი ღირებულების გარანტიით;
- კომპანიის სასარგებლოდ მინიჭებული ნებისმიერი შესყიდვის ვარიანტის განხორციელების ფასი, თუ გონივრულად დარწმუნებულია ამ ვარიანტის შეფასება;
- ნებისმიერი ჯარიმა გადასახდელი იჯარის შეწყვეტისათვის, თუ იჯარის ვადა შეფასებულია განხორციელების შეწყვეტის ვარიანტის საფუძველზე.

დაწყების თარიღისთვის, კომპანია ზომავს სარგებლობის უფლებას ღირებულებით. სარგებლობის უფლების ღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას:
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე:
- გაწეული პირველადი პირდაპირი ხარჯები; და
- ნებისმიერი რეზერვის ოდენობა აღიარებულია, როდესაც კომპანიას ხელშეკრულებით ევალება იჯარით გაცემული აქტივის დემონტაჟი, ამოღება ან აღდგენა

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით თუ, იშვიათად, ითვლება, რომ ეს უფრო მოკლეა ვიდრე იჯარის ვადა.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

როდესაც კომპანია ხელახლა ამოწმებს ნებისმიერი ლიზინგის ვადის შეფასებას (რადგან, მაგალითად, იგი ხელახლა აფასებს ლიზინგის მიმღების გაგრძელების ან შეწყვეტის ვარიანტის განხორციელების ალბათობას), ის არეგულირებს იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულებას, რათა ის ასახავდეს გადახდებს გადახედული ვადის განმავლობაში, რომლებიც დისკონტირებულია განახლებული დისკონტის განაკვეთით. იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულება ანალოგიურად გადაისინჯება, როდესაც ხდება სამომავლო იჯარის გადახდების ცვლადი ელემენტების გადასინჯვა, რომელიც დამოკიდებულია განაკვეთსა და ინდექსზე, გარდა დისკონტის განაკვეთისა, რომელიც რჩება უცვლელი. ორივე შემთხვევაში ექვივალენტური კორექტირება ხდება გამოყენების უფლების მქონე აქტივის საბალანსო ღირებულებასთან, ხოლო გადაფასებული საბალანსო ღირებულება ამორტიზირდება დარჩენილი (გადახედული) იჯარის ვადის განმავლობაში. თუ სარგებლობის უფლების აქტივის საბალანსო ღირებულება ნულოვანია, ნებისმიერი შემდგომი შემცირება აღიარდება მოგებაში-ზარალში.

როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორქტირდება.

კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, ასევე ნებისმიერი პერიოდი, რომელიც დაფარულია იჯარის გახანგრძლივების უფლებით (მათ შორის, ჩვეული ბიზნესის პრაქტიკაში გათვალისწინებული განახლების ვარიანტი), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს, ან ნებისმიერი პერიოდი დაფარულია იჯარის შეწყვეტის უფლებით, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას. ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ჩვეულებრივია, რომ იჯარის განახლების ვარიანტი იგულისხმებოდეს ჩვეული ბიზნეს პრაქტიკის საშუალებით და არა ყველა განახლების ვარიანტი იყოს დოკუმენტირებული იჯარის ხელშეკრულებით. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

კომპანია იყენებს აღიარების გათავისუფლებას მოკლევადიანი იჯარისათვის (ანუ იჯარა იჯარის ვადით 12 თვიდან ან ნაკლები დაწყების დღიდან) და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარით. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ხელფასი და მასთან დაკავშირებული ანაზღაურება

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება იმ წელს, როცა თანამშრომლისგან ხდება შესაბამისი მომსახურების მიღება.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წარმომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება“ გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს. სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
    - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი	ევრო	აზერბაიჯანული მანათი
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233	1.9288
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095	1.6861

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე განვითარებული მოვლენები, რომლებიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ გაშიფრულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

მმართველობის ანგარიშგება

შპს ჯეი თი აი კავკასუსი

2020

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა 4

ორგანიზაციის სტრუქტურა საქართველო 6

ორგანიზაციის სტრუქტურა აზერბაიჯანი 7

კომპანიის მართვის პრინციპი 8

პროგნოზები ბიზნესის სეგმენტების მიხედვით 9

მარეგულირებელი გარემო 10

საქართველოს და აზერბაიჯანის ბაზრებზე წარმოდგენილი JTI ბრენდები 10

თამბაქოს ბაზარი საქართველოში 10

აქციზის გადასახადი საქართველოში 11

თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ძირითადი არხები 11

კონკურენცია 12

თამბაქოს ბაზარი აზერბაიჯანში 13

საკანონმდებლო ბაზა აზერბაიჯანში 14

აქციზის გადასახადი აზერბაიჯანში 15

ფინანსური და მონაცემთა დამუშავების მომსახურებები 16

რისკები 17

შპს ჯეი თი აი კავკასუსის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 19

JTI Caucasus-ის საკადრო პოლიტიკა: 22

JTI Caucasus-ის სტრატეგია 23

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები 24

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი,
საქართველო

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

შპს ჯეი თი აი კავკასუსის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგრიშგებასთან და მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 1 სექტემბერს. სხვა ინფორმაციაზე, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგრიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს" სახელით

თბილისი, საქართველო

1 სექტემბერი, 2021

შპს ბიდიო აუდიტი (ს/კ 205145403) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

მმართველობის ანგარიშგება

2016 წლის 8 ივნისს საქართველოს პარლამენტმა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი მიიღო, რომლის მიზანს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა და ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ევროკავშირის აქტებთან დაახლოება წარმოადგენს. კანონმა მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარმოდგენაზე ახალი სამართლებრივი მოთხოვნები შემოიღო. კანონის მოთხოვნები ანგარიშგებების წარმოდგენასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი დაინტერესების პირებს, პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოებზე ვრცელდება.

საქმიანობის მიმოხილვა

Japan Tobacco (JT) არის თამბაქოს მწარმოებელი მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი კომპანია, რომელსაც აქვს ოფისები და ქარხნები 70-ზე მეტ ქვეყანასა და რეგიონში, ხოლო მისი ნაწარმი იყიდება 130-ზე მეტ ქვეყანაში. მისი სათაო ოფისი არის ტოკიოში, იაპონიის თამბაქოს კომპანია რეგისტრირებულია ტოკიოს საფონდო ბირჟაზე.

JAPAN TOBACCO INTERNATIONAL (JTI) არის JT-ის საერთაშორისო თამბაქოს ბიზნესის მიმართულება სათაო ოფისით შვეიცარიაში, ჟენევაში. JTI აწარმოებს და ყიდის მზა სიგარეტებს, დაჭრილ თამბაქოს, სიგარებს, ჩიბუხის თამბაქოს, სნუსს (საღეჭი თამბაქოს სახეობა, რომელიც პოპულარულია სკანდინავიაში) და კრეტეკს (ინდონეზიური სიგარეტები მიხაკით) და შემცირებული რისკის პროდუქტებს.

მთავარი ბაზრები მოიცავს გაერთიანებულ სამეფოს, რუსეთს, საფრანგეთს, იტალიას, ესპანეთს, ტაივანსა და თურქეთს. პორტფოლიო მოიცავს სიგარეტების და წვრილად დაჭრილი თამბაქოს წამყვან ბრენდებს, როგორიცაა Winston, Mevius, Camel, და LD, აგრეთვე, შემცირებული რისკის პროდუქტებს, როგორიცაა Ploom და Logic.

Winston არის JTI-ის წამყვანი ბრენდი: გლობალური საერთაშორისო ბრენდი, რომელიც სთავაზობს მწეველებს მაღალი ხარისხის მოსაწევ პროდუქტს 1954 წლიდან. ბრენდი Winston იყიდება მსოფლიოს 130 ქვეყანაში.

Camel-ის ისტორია დაიწყო 1913 წელს, როდესაც რ.ჯ. რეინოლდსმა დაინახა მანამდე არნახული შესაძლებლობა წარმოედგინა სიგარეტის ბრენდი.
დღეს, 100-ზე მეტი წლის შემდეგ, Camel ისევ არის შემოქმედებითი ხატი. მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყანა ყიდის Camel-ს.

LD გამოშვებულ იქნა 1999 წელს, როგორც საერთაშორისო ღირებულების ბრენდი, რომელიც ზრდასრულ მწეველებს სთავაზობდა საიმედო ხარისხს ხელმისაწვდომ ფასად. დღეისათვის LD არის სიგარეტის ერთ-ერთი წამყვანი საერთაშორისო ღირებულების ბრენდი. იგი იყიდება 50-ზე მეტ ქვეყანაში ევროპაში, აზიაში, აფრიკაში და ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში.

Sobranie, რომელიც დაფუძნებული იყო სრულყოფილებაზე და ფუფუნების სიმბოლოს წარმოადგენდა 140 წელზე მეტი დროის განმავლობაში, დღესაც უცვლელად ადგენს პრესტიჟული გამოცდილების სტანდარტს თამბაქოს წარმოების სფეროში. იგი გვთავაზობს გამორჩეული გემოს მქონე ელეგანტურად დამზადებულ სიგარეტებს, რომლებიც ეყრდნობა ხელოვნებით და კულტურით მდიდარ მემკვიდრეობას.

2019 წელს JTI-იმ გლობალურად დაიწყო ტრანსფორმაციის (რესტრუქტურიზაციის) პროექტი, რომელიც მოიცავს სტანდარტული პროცესების ავტომატიზიციას, მმართველობის საფეხურების გაუქმებას, ზოგიერთი ფუნქციის გაერთიანებასა და მუშაობის ეჯაილ პრინციპის დანერგვას. პროექტი მიმართულია ოპერაციების ეფექტურობისა და კომპანიის მოქნილობის გაზრდაზე ბაზრის ცვლილებებზე სწრაფი რეაგირების უზრუნველსაყოფად.

შპს JTI Caucasus („JTI Caucasus“ ან „კომპანია“) არის Japan Tobacco-ს კომპანიების ჯგუფის წევრი („JT Group“ ან „ჯგუფი“). ეს კომპანია არის ჰოლანდიის JT International Holding B.V.-ის სრულ მფლობელობაში მყოფი შვილობილი კომპანია და ფუნქციონირებს საქართველოში 2011 წლიდან.

ოფიციალური იურიდიული პირის დასახელება	JTI Caucasus, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
იურიდიული პირის ქვეყანა	საქართველოს რესპუბლიკა
ოფიციალური მისამართი	საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 34
ოფიციალური საიდენტიფიკაციო ნომერი	404906731
დაფუძნების წელი	2011
თანამშრომელთა რაოდენობა	94

ორგანიზაციის სტრუქტურა საქართველო



2013 წლიდან JTI Caucasus-ის წარმომადგენლობითი ოფისი ფუნქციონირებს აზერბაიჯანში და ახორციელებს JTI ბრენდების გაყიდვას აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

ოფიციალური იურიდიული პირის დასახელება	JTI Caucasus, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წარმომადგენლობითი ოფისი
იურიდიული პირის ქვეყანა	აზერბაიჯანის რესპუბლიკა
ოფიციალური მისამართი	აზერბაიჯანი, ბაქო, AZ1065, იზმირის ქ. 8, ჰიატ რიჯენსი თაუერი III, სართული I
ოფიციალური საიდენტიფიკაციო ნომერი	1303199311
დაფუძნების წელი	2013
თანამშრომელთა რაოდენობა	54

ორგანიზაციის სტრუქტურა აზერბაიჯანი



*დანარჩენი ფუნქციები პირდაპირ დაქვემდებარებაშია საქართველოში შესაბამისი ფუნქციების ხელმძღვანელებთან

JTI Caucasus-ს, როგორც იურიდიულ პირს, აქვს შემოსავლების სამი ძირითადი წყარო:

- მზა პროდუქციის შესყიდვა JT Group-ის სხვა კომპანიებისგან და მისი რეექსპორტირება აზერბაიჯანში. მისი წარმომადგენლობითი ოფისი ბაქოში უზრუნველყოფს გაყიდვების მონიტორინგს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, უზრუნველყოფს მარკეტინგულ მომსახურებას და შესაბამისობას ადგილობრივ ნორმატიულ მოთხოვნებთან;
- თამბაქოსა და შესაფუთი მასალის შესყიდვა JT Group-ის სხვა კომპანიებისგან და მისი რეექსპორტირება აზერბაიჯანში.
- JTI და JT ბრენდის სიგარეტებთან დაკავშირებით მარკეტინგული მხარდაჭერის მომსახურება საქართველოში, რომელიც მიეწოდება იმპორტიორ კომპანიას Eliz Group.

JTI Caucasus-ის მიერ გაწეული მარკეტინგული მომსახურება, რომელიც ეფუძნება მარკეტინგული მომსახურების კონტრაქტს Eliz Group-თან, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება საქართველოს ბაზრის ტენდენციებთან შესაბამისობაში, ამ სტრატეგიის განსახორციელებლად აუცილებელი საქმიანობის და რესურსების განსაზღვრა და დაგეგმვა;
- მომხმარებლებზე ორიენტირებული სარეკლამო მოქმედებების და ღონისძიებების ორგანიზება, რომლებიც მიზნად ისახავს JTI ბრენდების ცნობადობის ამაღლებას და მათ მიმართ მომხმარებელთა ლოიალობას;
- ბაზრის კვლევა მომხმარებელთა მოთხოვნილებების და გემოვნების უფრო ზუსტად ამოცნობის, ასევე ბაზრის განვითარების ტენდენციების განსაზღვრის მიზნით;
- ლისტინგის/პროდუქციის რეკლამირების შეთანხმებების დადება საცალო მოვაჭრეებთან და HoReCa-თან საცალო ვაჭრობის ქსელში JTI პროდუქტების არსებობის და ხილვადობის გასაუმჯობესებლად.

კომპანიის მართვის პრინციპი

მართვის ძირითადი პრინციპი შეესაბამება 4S მოდელს; JT Group ცდილობს შეასრულოს თავისი ვალდებულებები მისი მომხმარებლების, აქციონერების, თანამშრომლებისა და ფართო საზოგადოების წინაშე, ყურადღებით განიხილოს თითოეული მათგანის ინტერესები და შეძლებისდაგვარად გადააჭარბოს მათ მოლოდინს. 4S მოდელმა JT group-ს საშუალება მისცა ბოლო წლებში მიეღწია მოგების მდგრადი ზრდისთვის და ეს მოდელი გააგრძელებს ჯგუფის ღირებულების ზრდას საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

4S მოდელი

რესურსების განაწილების პოლიტიკა

- **4S მოდელი განსაზღვრავს ჩვენი რესურსების განაწილების პოლიტიკას**
  - ინვესტირება მოგების მდგრადი ზრდის მიზნით საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში
  - ბალანსის დამყარება მოგების ზრდასა და ბიზნეს ინვესტიციებსა და აქციონერების შემოსავლებს შორის.
- **აქციონერთა შემოსავლების პოლიტიკა:** მიზანი - ამაღლდეს აქციონერთა შემოსავლები მოგების ზრდის საშუალო და გრძელვადიანი ტენდენციის გათვალისწინებით და ამავდროულად ძლიერი ფინანსური ბაზის შენარჩუნებით
  - აქციებზე დივიდენდების სტაბილური ზრდის უზრუნველყოფა.
  - აქციების უკან შესყიდვის პროგრამის განხორციელების განხილვა
  - გაგრძელდეს გლობალური FMCG კომპანიების აქციონერთა შემოსავლების აქტიური მონიტორინგი.

საშუალო და გრძელვადიანი მიზანი: მივაღწიოთ კორექტირებული ოპერაციული მოგების საშუალო და მაღალ ერთნიშნა წლიური ზრდის ტემპს მუდმივ ვალუტაში.

პროგნოზები ბიზნესის სეგმენტების მიხედვით

თამბაქოს საერთაშორისო ბიზნესი

(მილიარდობით JPY)	**2020 შედეგი**	**2021 პროგნოზი**	**გადახრა 2020 წლის შედეგთან შედარებით**
ძირითადი შემოსავალი	1 250,8	1 230.0	-1.7%
კორექტირებული საოპერაციო მოგება	340.9	332.0	-2.6%%
რეფერენსი (მილიონობით USD)			
ძირითადი შემოსავალი	11 724	11 900	+1.5% (+1,1%)*
კორექტირებული საოპერაციო მოგება	3 181	3 220	+1,2% (+8.4%)*

* მუდმივ FX-ზე

- მოცულობა

მთლიანი მოცულობა სავარაუდოდ შემცირდება დაახლოებით 3% -ით, რაც გამოწვეულია ინდუსტრიის მოცულობის შემცირებით.

- ძირითადი შემოსავალი და კორექტირებული ოპერაციული მოგება

ძირითადი შემოსავალი და დაზუსტებული ოპერაციული მოგება, წინა წელთან შედარებით, მცირდება 1.7% და 2.6% შესაბამისად, რაც გამოწვეულია ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობებით რომელსაც ნაწილობრივ ანაზღაურებს ძლიერი ბიზნეს შედეგები.

აშშ დოლარში, მუდმივი გაცვლითი კურსის პირობებში ძირითადი შემოსავალი და დაზუსტებული ოპერაციული მოგება, სავარაუდოდ, გაიზრდება 1,1% და 8,4%, რაც გამოწვეულია ძლიერი ფასის / მიქსისა და ბაზრის წილის უწყვეტი ზრდით. ხოლო მიმდინარე სავალუტო კურსებზე დაყრდნობით, ძირითადი შემოსავალი და კორექტირებული ოპერაციული მოგება, სავარაუდოდ, გაიზრდება 1,5% და 1,2%, რაც გამოწვეულია არახელსაყრელი ვალუტის კურსის მოძრაობებით.

მარეგულირებელი გარემო

მარეგულირებელი გარემო თამბაქოს ინდუსტრიისთვის სულ უფრო მეტად იზღუდება. რეკლამებზე დაწესებული შეზღუდვები ყველაზე გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. სულ უფრო მეტ ბაზარს შემოაქვს აკრძალვები მოწევაზე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ხელს უწყობს პროდუქციის შეფუთვაზე მოწევით ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის შესახებ უფრო დიდი გაფრთხილებების განთავსებას, ზოგიერთ შემთხვევაში, ჯანმრთელობის შესახებ ასეთი გაფრთხილების დასურათებით.

საქართველოს და აზერბაიჯანის ბაზრებზე წარმოდგენილი JTI ბრენდები:

Winston, Camel, Sobranie, Magna საქართველოში
Winston, Camel, Sobranie, More, LD, Winchester, აზერბაიჯანში

თამბაქოს ბაზარი საქართველოში

ქართველი მომხმარებლები კონსერვატიულები რჩებიან მოწევის თვალსაზრისით, ამასთან, მათი უმრავლესობა კვლავ ტრადიციული სიგარეტების ერთგულია. სიგარების და მოსაწევი თამბაქოს მომწოდებლებისთვის რთულია დიდი აუდიტორიის მოზიდვა პროდუქტის შესახებ დაბალი ინფორმირებულობის და მაღალი ფასების გამო. 2020 წლის ივლისში, საქართველოში წამყვანმა თამბაქოს კომპანიამ Philip Morris International (PMI) წარმოადგინა ბაზარზე პირველი ეგრეთ წოდებული შემცირებული რისკის პროდუქტი IQOS-ი რომელიც წვის ნაცვლად თამბაქოს გახურების ტექნოლოგიას იყენებს. 2020 წლის დეკემბრის მონაცემებით აღნიშნული პროდუქტის ბაზრის წილმა 0,6% შეადგინა (წყარო: GAMMA-ს კვლევა)

საქართველოში თამბაქოს ნაწარმებზე ფასების ზრდა გრძელდება მზარდი აქციზის გადასახადის გამო.

2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით სპეციფიური აქციზის გადასახადი ფილტრიან და უფილტრო სიგარეტების 20 ცალიან შეფუთვაზე განისაზღვრება 1.7 ლარით. გარდა ამისა, თითოეული შეფუთვა იბეგრება 30% ადვალორული აქციზით (ადვალორული კომპონენტი დაემატა 2015 წელს 5% ოდენობით და მიმდინარე ნიშნულს მოაღწია 2019 წლის 1 იანვარს).

თამბაქოს ყველა ნაწარმი ექვემდებარება 18% დღგ-ს.

არსებობს მისწრაფება მიღწეულ იქნას ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მყოფი გადასახადების დონე და სტრუქტურა.

ფასების ზრდის გამო ზოგმა მწეველმა დაიწყო გადასვლა საშუალო ფასიან და ეკონომიურ ფასიან ბრენდებზე. საპროგნოზო პერიოდის თვალსაზრისით, მოსალოდნელია თამბაქოს ნაწარმზე ფასების კიდევ უფრო გაზრდა და მწეველთა უფრო მეტი რაოდენობა გადავა უფრო ხელმისაწვდომ პროდუქტებზე.

აქციზის გადასახადი საქართველოში

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია Winston-ის კოლოფის ფასი და აქციზის გადასახადი.



თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ძირითადი არხები

ტრადიციული სასურსათო საცალო ვაჭრობა რჩება ძირითად არხად, რომლის მეშვეობითაც თამბაქოს ნაწარმის შეძენა ხდება. თამბაქოს სპეციალური საცალო ვაჭრობის ქსელების სწრაფმა ზრდამ დადებითად იმოქმედა ამ კატეგორიაზე, განსაკუთრებით კი სიგარასა და მოსაწევ თამბაქოზე, რომელთა მოძიება რთულია სხვა არხებით. თამბაქოს რეკლამირების შეზღუდვების შემოღების დღიდან, კომპანიებმა და დისტრიბუტორებმა, როგორც წესი, გაამყარეს ურთიერთობები საცალო მოვაჭრეებთან მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების გასაუმჯობესებლად. ეს მეთოდი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ეფექტურია ქართულ კომპანიებს შორის. JTI Caucasus იყენებს სასურსათო არხებს, ასევე საკვანძო ქსელებს მომხმარებლებთან კომუნიკაციისთვის.

კონკურენცია

საქართველოში წარმოდგენილია თამბაქოს ყველა უმსხვილესი კომპანია. Japan Tobacco International არის თამბაქოს ბაზრის მეორე წამყვანი მოთამაშე საქართველოში. კომპანიის წარმატების გასაღებია მისი წამყვანი ბრენდი Winston-ი. JTI გთავაზობთ პროდუქციის ფართო სპექტრს Winston-ის ბრენდის ფარგლებში, რომელიც წარმოდგენილია ფისის დაბალი და უკიდურესად დაბალი შემცველობის მქონე ვარიანტებით და წვრილი, მოკლე და გრძელი ვარიანტებით, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა ფასები ეკონომიურიდან პრემიალურამდე. საზოგადოდ, Japan Tobacco რეკლამას უწევს თავის ყველა ბრენდს ქვეყანაში.

Philip Morris International (PMI), რომელიც წარმოადგენს თავის ცნობილ ბრენდებს L&M, Bond Street, Marlboro და Parliament, არის თამბაქოს ბაზრის პირველი დიდი მოთამაშე საქართველოში.

Kent, Pall Mall, Viceroy და Lucky Strike არის ბრენდები, რომლებიც წარმოდგენილია British American Tobacco-ს (BAT) მიერ საქართველოში. Imperial Tobacco წარმოდგენილია ცნობილი ბრენდებით Davidoff და Gauloises.

GAMMA-ს კვლევის ანგარიშზე დაყრდნობით (http://gammaresearch.ge/) , საქართველოს თამბაქოს ბაზრის წამყვან მოთამაშეთა საბაზრო წილები შეჯამებულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ბაზრის წილები საქართველოში 2020 წლის დეკემბრისთვის:

SOM, %	დეკ'17	დეკ'18	დეკ'19	დეკ'20
PMI	35.2%	37.7%	39.9%	38.7%
JTI	24.6%	23.7%	24.3%	24.4%
BAT	20.6%	19.3%	16.5%	15.1%
კომპანია მიმოიხილავს მიმდინარე სასამართლო დავებს და მათ განვითარებას ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იმისთვის, რომ შეაფასოს ანარიცხისა და განმარტებების აუცილებლობა ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს გამოყენებებული ფაქტორები მოიცავს: სასამართლო დავის ხასიათს, პრეტენზიებსა და შეფასებებს, სასამართლო პროცესებსა და ზიანის პოტენციურ დონეს იმ იურისდიქციაში, სადაც მიმდინარეობს დავა, სასამართლო დავის განვითარებას (მათ შორის განვითარება ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე), იურიდიულ საკითხებში მრჩეველთა მოსაზრებებსა და შეხედულებებს, გამოცდილებას მსგავს სასამართლო დავებზე და კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას თუ როგორ წარმართავს თავის პოზიციას სასამართლო დავებში.

13. ანარიცხები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, შესაძლოა სხვადასხვაგვარად იქნას ინტერპრეტირებული საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

წარსული გამოცდილებიდან და კანონის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციის გამო, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას მოუწევს საგადასახადო კოდექსით მოთხოვნილი გადასახადების გადახდა. შესაბამისად, კომპანიამ დაიანგარიშა გადასახადის შესაძლო ეფექტი და ფინანსურ ანგარიშგებაში შექმნა საგადასახადო ანარიცხი. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება. ხელმძღვანელობის შეფასებით მომავალში მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსის კომპანიიდან გასვლა.

14. ამონაგები

	2020	2019*
ამონაგები:		
თამბაქოსა და სხვა დაკავშირებული მასალების რეალიაციიდან	106,404,406	66,543,283
სიგარეტის რეალიზაციიდან	61,479,356	94,538,069
მარკეტინგული მომსახურების გაწევიდან**	22,943,317	28,939,089
	190,827,079	**190,020,441**

* 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მიმდინარე და წინა პერიოდის მონაცემების შესადარისად წარსადგენად საჭიროებისამებრ მოხდა წინა პერიოდის მონაცემების რეკლასიფიკაცია. რეკლასიფიკაციის საერთო თანხა შეადგენს 4,871,828 ლარს, რომელიც წარდგენილი იყო კომერციული ხარჯებში.

** კომპანია უზრუნველყოფს მარკეტინგული მომსახურების სრულ სპექტრს JTI ბრენდების ადგილობრივ დისტრიბუტორს - შპს ელიზ ჯგუფს გაყიდვების მხარდასაჭერად. მარკეტინგული მომსახურების ზოგადი ჩამონათვალი მოიცავს: მარკეტინგული დაგეგმვა, სათანადო დისტრიბუციის უზრუნველყოფა, პროდუქციის ჩამონათვალისა და ხილვადობის უზრუნველყოფა საცალო ვაჭრობისა და ჰორეკას ობიექტებში, სარეკლამო და წამახალისებელი აქციების ორგანიზება და ზედამხედველობა, ასევე სარეკლამო მასალების გავრცელება და სხვა.

15. საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის თვითღირებულება

	2020	2019
თვითღირებულება:		
თამბაქოსა და სხვა დაკავშირებული მასალები	(58,852,827)	(35,732,809)
სიგარეტები	(37,128,088)	(50,261,431)
მარკეტინგული მომსახურება	(12,049,881)	(12,886,398)
ტრანსპორტირება	(1,633,393)	(7,633,545)
	(109,664,189)	**(106,514,183)**

16. კომერციული ხარჯები

	2020	2019*
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(7,491,656)	(7,270,876)
რეკლამირება და დაკავშირებული წამახალისებელი საჩუქრები	(2,060,394)	(4,051,873)
ბაზრის კვლევა	(2,255,536)	(2,297,775)
მარკეტინგული მარაგებისა და მასალების ხარჯი	(4,086,361)	(2,797,123)
პროდუქტის დიზაინი	(398,343)	(771,626)
სხვა	(181,428)	(57,157)
	(16,473,718)	**(17,246,430)**

* დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-14 განმარტებით შენიშვნაში.

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(14,600,811)	(15,370,104)
ცვეთა და ამორტიზაცია*	(3,283,651)	(1,963,942)
ინფორმაციული ტექნოლოგიები და პროგრამული მხარდაჭერა	(1,577,324)	(1,189,145)
გადასახადები გარდა მიმდინარე მოგების გადასახადისა	(1,535,930)	(374,534)
ანარიცხები	(1,043,565)	(2,928,297)
შეკეთება და შენახვა	(1,037,470)	(851,770)
საბანკო გარანტიები	(864,950)	(912,549)
იჯარა და კომუნალური ხარჯები*	(664,131)	(2,130,474)
საწვავი	**(481,131)**	**(333,191)**
კომუნიკაცია	**(400,733)**	**(435,798)**
პროფესიული მომსახურება**	(343,768)	(563,391)
სამივლინებო ხარჯები	(342,867)	(2,136,988)
საოფისე აღჭურვილობები	(166,359)	(282,640)
თანამშრომელთა ტრენინგები	(150,370)	(300,023)
საბანკო ხარჯები	(147,336)	(152,971)
სხვა	(610,988)	(1,421,399)
	(27,251,384)	(31,347,216)

* ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები გაიზარდა (და იჯარის ხარჯები შემცირდა) ახალი საიჯარო ხელშეკრულების შედეგად აქტივების გამოყენების უფლების აღიარებით. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-6 განმარტებით შენიშვნაში.

** 2020 და 2019 წლებისთვის პროფესიული მომსახურება შესაბამისად მოიცავს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარჯებს 60,000 ლარის ოდენობით (დღგ-ის გარეშე).

18. სხვა ხარჯები, წმინდა

	2020	2019
განადგურებული საქონლისგან მიღებული ზარალი *	(1,488,919)	-
ქველმოქმედება	(805,890)	(594,809)
სხვა	(157,394)	(43,026)
	(2,452,203)	(637,835)

* 2020 წელს კომპანიამ შეისყიდა ვინსტონის პროდუქტი აზერბაიჯანის შემსყიდველისთვის. ბაზარზე მოთხოვნის შემცირების შედეგად, მყიდველმა უარი თქვა დამატებითი საქონლის შესყიდვაზე. შედეგად, წარმოებული საქონელი მოძველდა და განადგურდა 2020 წელს 1,488,919 ლარის ოდენობით.

19. მოგების გადასახადის ხარჯი

	2020	2019
მოგების გადასახადის ხარჯი წარმოქმნილია:		
დივიდენდების გადახდით	(5,599,941)	(5,184,970)
სხვა დასაბეგრი ოპერაციებით	(758,089)	(930,834)
	(6,358,030)	(6,115,804)

საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაბეგვრის ობიექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია მოცემულია 23-ე განმარტებით შენიშვნაში.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე", წარმოადგენს:

a) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

b) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

c) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

d) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების არე	დამფუძნებელი	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	უმაღლესი ხელმძღვანელობა
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	405,796	6,804,075	-
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის თვითღირებულება*	1,052,421	-	-
კომერციული ხარჯები		(528,565)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,063,927)	(2,806,142)	(3,659,781)

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების არე	დამფუძნებელი	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	უმაღლესი ხელმძღვანელობა
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	103,696	4,046,234	-
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის თვითღირებულება*	(1,450,256)	-	-
კომერციული ხარჯები	-	(1,606,087)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(956,150)	(4,865,080)	(2,936,438)

* 2020 და 2019 წლების განმავლობაში საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოსგან შეძენილმა მარაგებმა შესაბამისად შეადგინა 92,909,662 ლარი და 100,800,152 ლარი.

21. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები - 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა აქტიური სამართლებრივი დავა 2015-2017 წლების საგადასახადო შემოწმების მიხედვით. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-12 განმარტებით შენიშვნაში.

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, დაგროვილი მოგების განაწილება ექვემდებარება დაბეგვრას. 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება შეადგენს შესაბამისად 6,178,647 ლარს და 5,555,571 ლარს.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

დივიდენდები

2021 წლის 13 მაისს კომპანიის პარტნიორთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება 16,563,000 ლარის (5,000,000 აშშ დოლარი) ოდენობის დივიდენდის გამოცხადებაზე. აღნიშული თანხა სრულად გაიცა 2021 წლის 25 მაისს.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება სამ კატეგორიად: ის, რაც შემდგომში უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ის, რაც შემდგომ უნდა შეფასდეს სხვა სრული შემოსავლის სამართლიანი ღირებულებით (FVOCI) და ის, რაც შემდგომ უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის მიხედვით (FVPL). კომპანიის მენეჯმენტმა შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელები ვრცელდება კომპანიის ფინანსურ აქტივებზე და ყველა ფინანსური აქტივი კლასიფიცირებულია „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების“ კატეგორიაში.

ამორტიზებული ღირებულება

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე და არა მიმდინარე სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვები აღიარებულია ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რეზერვის მატრიცის გამოყენებით ვადის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას. ამ პროცესის განმავლობაში ფასდება სავაჭრო დებიტორული დავალიანების გადაუხდელობის ალბათობა. ეს ალბათობა შემდეგ მრავლდება მოსალოდნელი ზარალის ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ნაგულისხმევი ვადით, რათა განისაზღვროს სავაჭრო დებიტორული დავალიანების ვადის ხანგრძლივობის სავარაუდო საკრედიტო ზარალი. სავაჭრო დებიტორული დავალიანებისათვის, რომლებიც აღირიცხება წეტო მეთოდით, ასეთი რეზერვები აღირიცხება ცალკეული სარეზერვო ანგარიშში, ზარალი აღიარებულია გაყიდვების ღირებულების ფარგლებში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. დადასტურების შემდეგ, რომ დებიტორული დავალიანება არ იქნება შეგროვებული, აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება იწერება ასოცირებული დებულების წინააღმდეგ.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაკავშირებული მხარეებთან დებიტორული დავალიანება და დაკავშირებული მხარეებთან სესხების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია მომავლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის საფუძველზე. რეზერვის ოდენობის დასადგენად გამოყენებული მეთოდოლოგია ემყარება იმას, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების დღიდან. მათთვის, სადაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღიარებულია თორმეტი თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალი მთლიანი საპროცენტო შემოსავლით. მათთვის, ვისთვისაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, აღიარებულია სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით ერთობლივ საპროცენტო შემოსავალთან ერთად. მათთვის, ვინც განისაზღვრა, რომ გაუფასურებულია საკრედიტო, აღიარებულია სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საპროცენტო შემოსავლებთან ერთად წმინდა საფუძველზე.

დროდადრო, კომპანია ირჩევს ხელახლა მოლაპარაკებას კლიენტებთან დაკავშირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების პირობებთან, რომლებთანაც მას ადრე ჰქონდა კარგი სავაჭრო ისტორია. ამგვარი ხელახალი მოლაპარაკებები გამოიწვევს გადახდების დროის შეცვლას და არა ცვლილებებს დავალიანების შედეგად და, შესაბამისად, ახალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები დისკონტირდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვაობა აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (საოპერაციო მოგება).

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულადი სახსრების ექვივალენტებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით. პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოხსენებული თანხები ურთიერთჩაითვალოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

- იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
- პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
- ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

23. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის ყველა სახის სხვა დანახარჯით, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილის გამოცვლის დროს გაწეული ხარჯი კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს ძირითადი საშუალების გაუფასურების ინდიკატორებს. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, მენეჯმენტი აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება შემცირებულია მის ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ხარჯი კვლავ შემოსავლად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს შეფასების ცვლილებას, რომლითაც თავდაპირველად განისაზღვრა აქტივის გამოყენების ღირებულება, ან იცვლება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალური ღირებულება.

გაყიდვისგან მიღებული სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება გაყიდვის დროს მიღებული შემოსავლისა და აქტივის ჩამოწერილი საბალანსო ღირებულების ურთიერთშედარების შედეგად.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ავტომობილები	4-5
კომპიუტერები და სხვა ტექნიკა	3-10
ავეჯი	5-10
სხვა	2-4

არამატერიალური აქტივები

კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და შეიცავს დაკაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების ხარჯებს. კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების შესყიდვისას კაპიტალიზდება შესყიდვისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანისთვის გაწეული ხარჯები. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა შენახვის ხარჯები აღიარდება ხარჯად მისი გაწევისთანავე. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივად 3-10 საანგარიშგებო წელზე. თუ არამატერიალური აქტივი გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება და ხდება უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები აქტივებია, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრაქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

მოგების გადასახადის გარდა გადასახადები აღიარდება მაშინ როცა ადგილი აქვს დასაბეგრ მოვლენას. დასაბეგრი მოვლენა არის მოვლენა რომელიც წარმოშობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები დაიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. ისინი აღიარებულია ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

23. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ.

კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა.

შესრულების ვალდებულებები და შემოსავლების აღიარების დრო

შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული. ეს ხდება მაშინ, როდესაც საქონელი და მომსახურება მიეწოდება მომხმარებელს. შეზღუდული გადაწყვეტილებაა საჭირო პუნქტების კონტროლის გადაცდენის იდენტიფიცირებისას: მას შემდეგ, რაც მოხდა პროდუქციის ფიზიკური მიწოდება შეთანხმებულ ადგილას, კომპანიას აღარ ექნება ფიზიკური მფლობელობა, ჩვეულებრივ ექნება გადახდის უფლება და არ ინარჩუნებს მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს. საქონლის შესახებ.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

თითოეული გაყიდული პროდუქტისთვის არის ფიქსირებული ერთეულის ფასი, ხოლო შემცირება მოცემულია საბითუმო შეკვეთებისთვის. ამრიგად, არ არსებობს გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს კონტრაქტის ფასის გამოყოფას თითოეულ ერთეულზე შეკვეთილ ასეთ კონტრაქტებში (ეს არის მთლიანი ხელშეკრულების ფასი გაყოფილი შეკვეთილი ერთეულების რაოდენობაზე). როდესაც მომხმარებელი ახდენს ერთზე მეტი სახეობის საქონლის შესყიდვას, კომპანიას შეუძლია მარტივად მოახდინოს სარეალიზაციო ფასების მკვეთრი გამოკვნა კონტრაქტის ფარგლებში პროდუქციის ცალკე აღებული სარეალიზაციო ფასების მიხედვით. (ყველა პროდუქტის ხაზს შეუძლია გაიყიდოს და იყიდება ცალკე).

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარები

კომპანია როგორც მოიჯარე

იჯარის იდენტიფიკაცია

იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანიამ უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა აღიარებულია კომპანიის ბალანსზე შემდეგნაირად:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს უფლებას გამოიყენოს ძირითადი აქტივი იჯარის ვადის განმავლობაში;
- ვალდებულება იჯარის გადახდის ვალდებულებისათვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

პირველადი აღიარებისას, იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულება ასევე მოიცავს:

- თანხები მოსალოდნელი უნდა იყოს გადასახდელი ნებისმიერი ნარჩენი ღირებულების გარანტიით;
- კომპანიის სასარგებლოდ მინიჭებული ნებისმიერი შესყიდვის ვარიანტის განხორციელების ფასი, თუ გონივრულად დარწმუნებულია ამ ვარიანტის შეფასება;
- ნებისმიერი ჯარიმა გადასახდელი იჯარის შეწყვეტისათვის, თუ იჯარის ვადა შეფასებულია განხორციელების შეწყვეტის ვარიანტის საფუძველზე.

დაწყების თარიღისთვის, კომპანია ზომავს სარგებლობის უფლებას ღირებულებით. სარგებლობის უფლების ღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას:
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე:
- გაწეული პირველადი პირდაპირი ხარჯები; და
- ნებისმიერი რეზერვის ოდენობა აღიარებულია, როდესაც კომპანიას ხელშეკრულებით ევალება იჯარით გაცემული აქტივის დემონტაჟი, ამოღება ან აღდგენა

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით თუ, იშვიათად, ითვლება, რომ ეს უფრო მოკლეა ვიდრე იჯარის ვადა.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

როდესაც კომპანია ხელახლა ამოწმებს ნებისმიერი ლიზინგის ვადის შეფასებას (რადგან, მაგალითად, იგი ხელახლა აფასებს ლიზინგის მიმღების გაგრძელების ან შეწყვეტის ვარიანტის განხორციელების ალბათობას), ის არეგულირებს იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულებას, რათა ის ასახავდეს გადახდებს გადახედული ვადის განმავლობაში, რომლებიც დისკონტირებულია განახლებული დისკონტის განაკვეთით. იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულება ანალოგიურად გადაისინჯება, როდესაც ხდება სამომავლო იჯარის გადახდების ცვლადი ელემენტების გადასინჯვა, რომელიც დამოკიდებულია განაკვეთსა და ინდექსზე, გარდა დისკონტის განაკვეთისა, რომელიც რჩება უცვლელი. ორივე შემთხვევაში ექვივალენტური კორექტირება ხდება გამოყენების უფლების მქონე აქტივის საბალანსო ღირებულებასთან, ხოლო გადაფასებული საბალანსო ღირებულება ამორტიზირდება დარჩენილი (გადახედული) იჯარის ვადის განმავლობაში. თუ სარგებლობის უფლების აქტივის საბალანსო ღირებულება ნულოვანია, ნებისმიერი შემდგომი შემცირება აღიარდება მოგება-ზარალში.

როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენეტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, ასევე ნებისმიერი პერიოდი, რომელიც დაფარულია იჯარის გახანგრძლივების უფლებით (მათ შორის, ჩვეული ბიზნესის პრაქტიკაში გათვალისწინებული განახლების ვარიანტი), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს, ან ნებისმიერი პერიოდი დაფარულია იჯარის შეწყვეტის უფლებით, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას. ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ჩვეულებრივია, რომ იჯარის განახლების ვარიანტი იგულისხმებოდეს ჩვეული ბიზნეს პრაქტიკის საშუალებით და არა ყველა განახლების ვარიანტი იყოს დოკუმენტირებული იჯარის ხელშეკრულებით. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

კომპანია იყენებს აღიარების გათავისუფლებას მოკლევადიანი იჯარისათვის (ანუ იჯარა იჯარის ვადით 12 თვიდან ან ნაკლები დაწყების დღიდან) და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარით. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ხელფასი და მასთან დაკავშირებული ანაზღაურება

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება იმ წელს, როცა თანამშრომლისგან ხდება შესაბამისი მომსახურების მიღება.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წარმომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი "პირობითი ვალდებულება" გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს. სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
    - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა"). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი	ევრო	აზერბაიჯანული მანათი
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233	1.9288
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095	1.6861

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე განვითარებული მოვლენები, რომლებიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ გაშიფრულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N210983218
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	09.09.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მ ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	დავით ჩალათაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, სანაპიროს 2ა, #1
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599336099
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	27726434085921

მე, ნოტარიუსი, დავით ჩალათაშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, სანაპიროს 2ა, #1, ვადასტურებ წინამდებარე დოკუმენტზე დიპლომირებული მთარგმნელის, თორნიკე პარხომენკოს (დაბადებული 17.02.1992, მცხოვრები: ქ. თბილისი, აწყურის ქუჩა 39, ბარათის ნომერი 11IC00354, პირადი ნომერი: 01011081564 გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ, დიპლომი MH N001116 გაცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ) ხელმოწერის სინამდვილეს. მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას. გადახდილია საზღაური: 60.00 ლარი, დღგ 10.80 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, და რეგისტრაციის საზღაური 2.00 ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების #507 (29.12.2011წელი) 31-ე მუხლის და 39 მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე.

I, Notary Davit Chalatashvili, whose notary bureau is located at: Sanapiro 2a, #1, Tbilisi, certify the authenticity of signature of qualified translator Tornike Parkhomenko (DOB 17.02.1992, place of residence: Tbilisi, 39 Atskuri Street, card number 11IC00354, Personal Number: 01011081564 issued by the Ministry of Justice, Diploma MH N001116 issued by Tbilisi State University). Translator is warned about his responsibility for the accuracy of translation and he gives the guarantee for the accuracy of translation.
The notary tax is paid: 60.00 GEL, VAT 10.80 GEL according to article 166 of Georgia tax code and 2.00 GEL for drawing up notary act according to the articles 31.3 and paragraph 1 of article 39 of resolution # 507 (29.12. 2011) of the government of Georgia about notary tax for drawing up notary act and ascertained fees for notary chamber, rules of payment and approval of terms of service

ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი
Notary : Davit Chalatashvili

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე +995(32) 2 66 19 18